ნესტან სულავა

გალაკტიონის ვარდთმეტყველება*

ვარდის მხატვრულ გააზრებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მცენარეთა მითოპოეტურ სახეებს შორის, ამიტომ ყოველი დიდი შემოქმედის მხატვრულ-სააზროვნო სისტემაში ვარდს, როგორც შედარებას, როგორც ეპითეტს, მეტაფორას, სიმბოლოს და ალეგორიული გამოსახვის საშუალებას, განსაკუთრებული დატვირთვა აკისრია. იგი უხსოვარი დროიდან შემოდის მითოსში, ზნე-ჩვეულებებში, პოეზიაში. უძველეს დროში ვარდს სიხარული და მხიარულება უკავშირდებოდა, შემდეგ კი საიდუმლოს, იდუმალების (ლათ. sub rosa), სიყვარულის გამოხატვის ფუნქციაც შეითავსა.

სიმბოლოთა ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში ვარდს ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის სიმბოლოდ განმარტავენ. იგი გამოხატავს სილამაზეს, მშვენიერებას, სრულყოფილებას, დიდებულებას, სიხარულს, სიყვარულს, კმაყოფილებას, დიდებას, ხოტბა-ქებას, ღვთაებრიობას, ჰაეროვნებას, სურნელებას, სიამაყეს, ლოცვას, სიბრძნეს, მედიტაციას, საიდუმლოს, იდუმალებას, სიმშვიდეს, უმანკოებას, სიწმინდეს, ვნებას, დაღვრილ სისხლს, წამებას, სიკვდილს, აღორძინებას, წარმავლობას, ცვალებადობას.

როგორც ვხედავთ, ვარდის სიმბოლური სპექტრი ერთობ მრავალფეროვანია.

მხატვრულ აზროვნებაში ვარდი ძირითადად მაინც მიჯნურს, სატრფოს უკავშირდება, მის გარეგნობას, ყველა იმ სულიერ განცდას ასახავს, რაც სიყვარულთან მიგვაახლებს: სიყვარულით გამოწვეულ სიხარულსა და ვნებას, გრძნობის მუდმივობას ან წარმავლობას, გრძნობისავე ცვალებადობას, თვით მიჯნურთა სიმორცხვესა და თავმოწონებას, სიამაყეს, სიმკაცრეს, მიუკარებლობას. მნიშვნელობა ენიჭება ვარდის ფერს, ფურცლებს, ფორმას..

ვარდის მეტაფორულმა და სიმბოლურმა გააზრებამ მოიცვა ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მხატვრული ლიტერატურა. ქართულ მწერლობაში, ისევე როგორც ფოლკლორში, ვარდის სიმბოლიკამ უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა, მაგრამ განსაკუთრებულია ვარდის მეტაფორა, სიმბოლიკა და ალეგორია „ვეფხისტყაოსანში", რომელშიც ირეკლება წინარე მითოლოგიური, ფოლკლორული, რელიგიური თუ ლიტერატურული ტრადიციები და რომელიც მომდევნო ხანის ქართული პოეზიისათვის თავად გვეელინება ამოურწყავ საუნჯედ. ვარდის რუსთველური მეტაფორის, სიმბოლურობისა და ალეგორიულობის ულრმესი შრეები ჩინებულად შეიგრძნო გალაკტიონ ტაბიძემ

* ფრაგმენტი ნაშრომიდან „რუსთაველი და გალაკტიონი"

და განაცხადა:

> რუსთაველს მარად შეენოდა ვარდი -
> ისეთი აქონდა ვარდს შინაარსი.
>
> („ვარდები")

ვარდის მხატვრული სახის რუსთველური რემინისცენციებით, ღრმა მეტაფორებით, სიმბოლოებითა და ალეგორიებით გაჯერებულ ლექსებში გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც „რუსთაველი ახსოვს ბავშვი" და რომლის რწმენითაც „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს", მოგვაგონებს „ვეფხისტყაოსნის" პასაჟებს, მის გმირთა რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე სულიერ ცხოვრებას და მათ შინაგან სამყაროსთან მიგვაახლებს.

ვარდის მხატვრული სახე გალაკტიონის ლირიკაში საოცრად მრავალფეროვანია, წარმოსახული უთვალავი და კონტრასტული ფერთა გამით, რომელიც მკითხველ-მსმენელის თვალსა და ყურს წამიერად კიდევ ერთხელ შეაჩერებს სამყაროს სიდიადეზე; გალაკტიონ ტაბიძე უსაზღვროდ ღრმად სწვდება რუსთაველის პოეტურ სამყაროს, ესოდენ მახლობელსა და მშობლიურს, რომელმაც პოეტს მისთვის ურთულეს პირობებში შეაძლებინა არსებობის სიკეთისა და ჰარმონიის რწმენა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ მემკვიდრეობაში, წინარე ლიტერატურული ტრადიციების კვალობაზე, ვარდი რამდენიმე მხატვრული ფუნქციით იტვირთება: 1. ვარდი - მხატვრული შედარება; 2. ვარდი - ეპითეტი; 3. ვარდი - მეტაფორა; 4. ვარდი - სიმბოლო; 5. ვარდი - ალეგორია.

1. ვარდი, როგორც მხატვრული შედარება, იშვიათი ფერადოვნებით შემოდის გალაკტიონის ლირიკაში. იგი მშვენიერების, სილამაზის გამოხატულებაა და თვით პოეტის შინაგან სამყაროს, სულიერ მდგომარეობას გადმოგვცემს, შესადარებელი საგნის თვალწარმტაცი სახის, უმანკოებისა და სიწმინდის ასასახავად არის მოხმობილი. მაგალითად, ღიმილი შედარებული პირველი ვარდის სინაზესთან:

> იგი შეენოდა - ნაზი, როგორც პირველი ვარდი
> და მკვირცხლი, როგორც უდარდელი მაისის წვიმა.
>
> („მაისის ღამეს")

2. გალაკტიონის ლირიკა მდიდარია ვარდის ეპითეტებით: „პირველი ვარდი", რომელიც სინაზის, სითბოს, სიყვარულის ხატებაა, „დაწყვეტილი ვარდები", რომელიც სიცოცხლის წარმავლობისა და წუთისოფლის მარადმედინობის გამოხატულებაა; „ცისფერი ვარდები", რომელიც ნოვალისის ცისფერ ყვავილებს ეხმიანება; „მომჯადოებელი ვარდი", რომელიც მშვენიერი ქალის

სახედ ეკლინება, „ვარდნი უენონი", რომლებიც, ვინ იცის, „რამდენს მეტყველებენ"; „ჭაობის ვარდი", რომელიც სამშობლოს ჭალაზე ფიქრობს; „ყვითელი ვარდი", რომელიც სიმარტოვის, უსასოების მძაფრი განცდებით ავსებს ადამიანს; „მკრთალი ვარდები", რომლებიც პოეტის სულის მიმოხრას უგდებენ ყურს; „ახალი ვარდი", რომელიც მომხიბვლელობის, მშვენიერების, სიხარულის, სიყვარულის შეგრძნებებს ბადებს.

3. ვალაკტიონის ვარდთმეტყველებაში განსაკუთრებულად მაინც ვარდის მეტაფორული, სიმბოლური და ალეგორიული გააზრებებია. უპირველესად „სილაქვარდე ანუ ვარდი სილაში" უნდა გავიხსენოთ, რომელიც მრავალგზის ყოფილა განხილვის საგანი. მასში გამოყენებულია ურთულესი მეტაფორა ვარდისა: „როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი", რომელიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს უკავშირდება. ნაწვიმარ სილაში დაგდებული ვარდი, კონტექ-სტის მიხედვით, უღვთისმშობლოდ დარჩენილთა ღრმა სევდაზე, სულიერი სამშობლოსაკენ სწრაფვაზე მიანიშნებს, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი სიზმარია:

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაქვარდე.

ამიტომაც გალაკტიონის ლექსებში ვარდების ჭკნობა და უსამშობლოობის, ულმერთობის, ულვთისმშობლობის თემები და განცდები ერთმანეთს ეკაჭვებიან:

არ მეგონა, რომ როდისმე
დასჭკნებოდა ვარდი,
მე მეგონა - მაგნოლიებს
ვერ დაძლეედათ დარდი...
არ მეგონა, არ მეგონა,
არ მეგონა, გულო,
თუ ამგვარი გახდებოდი,
ცივი, უმამულო.
(„არ მეგონა")

4. გალაკტიონის ცალკეულ ლირიკულ ნაწარმოებში წარმოსახული ვარდები ერთმანეთს უკავშირდებიან. აქ უნდა ვახსენოთ იშვიათი ინტერტექსტუალობით გამორჩეული ლექსი „ვარდები", რომელიც ნათლად მიგვანიშნებს რუსთაველისა და გალაკტიონის სულიერ-ინტელექტუალურ სიახლოვეზე. თითქოს ლექსის დასაწყისშივე ირეკლება ის ვეფხისტყაოსნური ჰარმონია, რომელიც ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნის შემდეგ მკვიდრდება:

მე, ზამთრისაგან ჯაჭვაწყვეტილი,
ნაცნობ ბაღისკენ მივემართები,
სად ფერად უცხო, ყნოსვად კეთილი
ზამთარ და ზაფხულ ჰყვავის ვარდები...

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დავით გურამიშვილის მსგავსად, გალაკტიონმა „ვეფხისტყაოსნის" პოეტური კომენტარები შექმნა, როდესაც ზემოხსენებულ სტრიქონებს წერდა. გალაკტიონის ეს სიტყვები რუსთაველის ცნობილ სტროფს ეხმიანება და ზამთარ-ზაფხულ აყვავებული ვარდებით ავსილ ბაღში პოულობს სულიერ სისავსეს, სრულყოფილებას, შვებას:

ზამთარი ვარდსა გაახმობს, ფურცლები შთამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩივიან,
მაგრამ მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, -
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკივიან.

დიდია ცდუნება „ვარდების" სტრიქონებში საღვთო ალეგორიის დანახვისა. ლექსში ანტიკური და რენესანსის ეპოქების გენიათა ფეიერვერკული წარმოსახვები ვარდს უკავშირდება, ვარდის მხატვრული სახეა მთელი ლექსის თანამდევი და შემკვრელი. „მაისის ვარდი, სიცოცხლის ვარდი", ან „ვარდებს ეკლიანს, ვარდებს უეკლოს" დაჰკრავთ სურნელი ჰომეროსის, ჰესიოდეს, ანაკრეონტის, ოვიდიუსის პოეზიისა, ბოტიჩელის, რაფაელის, ჯოტოს, ვან დეიკის, ლეონარდო და-ვინჩის ფერადოვანი პალიტრისა. მათი სულიერ-ინტელექტუალური მემკვიდრეობა გალაკტიონის მუდმივი თანამგზავრი და მაცოცხლებელია. თვით გალაკტიონი, უვრცესი, ღრმა და ფართო თვალსაწიერით, საკაცობრიო შემოქმედებითი სამყაროს, მსოფლიო კულტურის ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენლად გვესახება, რომელსაც მშობლიური ქართული კულტურა კვებავს და აცოცხლებს, რომელიც ისეთივე წმინდა და ფაქიზი სულისა იყო, „როგორც უწვიმარ რიჟრაჟში ვარდი". ლექსში გაკრთება ვარდის, როგორც „სილამაზისა და სინამდვილის" სახებისა და დიადემის, „ელადის გემით" დაფანტვის მოტივიც, რომელიც არგონავტების მითის ალუზიებსა და ასოციაციებს ბადებს; ოვიდიუსის პოეტური ხატის - ვარდთან ერთად ჭინჭრის ზრდის სიმბოლურობაც გამოსჭვივის, რომელიც ცნობილ რუსთველურ სიბრძნეს მოგვაგონებს: „ვარდთა და ნეხვთა"... მაგრამ უმთავრესი ისაა, რაც ლექსის დედააზრად იკვეთება - მიახლება სიმაღლეებთან, რომელთაგან ერთი მწვერვალი რუსთაველია. რუსთაველის ვარდთმეტყველების არსი გალაკტიონისათვის არა მხოლოდ გასაგებია, არამედ ორგანულად აქვს შესისხლხორცებული და გათავისებული:

და ყველა ერთად: ცა, ზღვა, მთა
ჩვენი ველისა და წყალის –
ლექსია რუსთაველის და
გალაკტიონის საწყალის.

იხიბლებოდა სული დიადით,
როს სიმაღლეებს სწვდებოდა არსი.
რუსთაველს მარად შვენოდა ვარდი -
ისეთი პქონდა ვარდს შინაარსი.

ლექსის მიხედვით, ყოველი ხსენებული შემოქმედი ვარდის სიმბოლოთი შემოდის გალაკტიონის პოეტურ სამყაროში, ისინი მონაცვლეობენ, რაც ცხოვრების წალკოტს მუდამ მშვენიერი ფერებით აყვავებულად წარმოაჩენს.

რუსთველური ვარდთმეტყველების ანარეკლი გამოსჭვივის გალაკტიონის შესანიშნავ ლექსში „დრო“:

სარკეთა სახეებს სანთლები მოედო
და შვენის რუსთაველს შირაზის ვარდები;
სიმღერის მხურვალე დრო არის, პოეტო,
თუ ასე წარმართი გზით წარემართები.

ქაოტურ სამყაროში გზის გაკვლევა ადვილი არ იყო შემოქმედისთვის, მაგრამ შველოდნენ ბუმბერაზ პოეტთა ნათელი სახეები, რომლებიც მის განცდებს ხვეწდნენ და ტკივილიან განწყობილებებს უამებდნენ. ამიტომ მიელტვოდა ნამდვილ ვარდებს და უტყუარი ალღოთი, შეუმცდარი ინტუიციით განასხვავებდა ხელოვნურისაგან:

ნამდვილ ვარდების გვერდით
სდგას ხელოვნური ვარდი,

თქვენ სივრცეებზე სწერდით,
როგორც ნამდვილი ბარდი.
(„ნამდვილი და ხელოვნური ყვავილები“)

ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძე ხშირად მიმართავდა რემინისცენციებს, ასოციაციებს. მის სახეობრივ სააზროვნო სისტემას თან სდევს „უზარმაზარი მსოფლიო ჭარის“ გამოცდილებანი, მაგრამ ყველაფერი ქართული სამყაროს საწვდომად უნდოდა იმ რწმენით, რომ „ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება“ („გრძნობათა ფერფლი“).

ვარდის ფერთამეტყველების უჩვეულო სიმდიდრეა გალაკტიონის პოეზიაში. „ვეფხისტყაოსანში“ ვარდის ფერი იშვიათად გაკრთება, გალაკტიონისთვის ვარდის ფერს განწყობილების, სულის მიმოხრის გამოხატვის ფუნქცია ეკისრება. სიკვდილის გზა ვარდისფრადაა შეფერილი და იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია:

თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის პანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა,
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე...
(„მთაწმინდის მთვარე“)

გალაკტიონის ვარდები ხან წითელია, ხან სისხლისფერი, ხან ვარდისფერი, ხან ყვითელი, ხან ცისფერი... პოეტის „სამოთხის ვარდი“ („სიონის მტრედი“) ერთგვარად უპირისპირდება მისსავე „ჭაობის ვარდებს“ („შრიალებს ჩალა“) და „თოვლის ვარდებს“ („ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები“). „სამოთხის ვარდი“ ალეგორიულად აღსაქმელი ტროპია, რომელიც, ვფიქრობთ, ღვთისმშობელს უკავშირდება, რის საფუძველს ლექსის სახელწოდება იძლევა.

ვარდი სიმბოლურად გარესინამდვილის უსახურობის, დაუწმენდავი გარემოს, ქაოტური სამყაროს პირობებში ან ფერგამკრთალია, ან საერთოდ გამქრალია, შეცვლილია.

შევხვდი მეგობარს: ვარდის ნაცვლად კუკური ბამბის
გულზე ბნეული, ჩვენი დროის თანამგრძნობია.
(„გავსცდით ხანდაკს“)

ეს ახალი სამყაროს, ახალი ცხოვრების ტკივილიანი, მძაფრი განცდითა და წუხილით აღსავსე ხილვა და შეცნობა იყო, რასაც იშვიათ გულწრფელობას შეჩვეული პოეტი ვერ მალავდა. საქართველოს ცხოვრებაში ხედავდა უფრო

მეტად ეკალს, იასა და ვარდს - ცოტას:

ქართლის ცხოვრება მძიმეა, ეკლიანია სავალი,
ცოტაა ია და ვარდი, დაბრკოლება კი - მრავალი.

ამიტომ ხშირად სდიოდა „ვარდს სისხლის ღვარი" („ვარდი"), ხოლო ამ ცვალებადსა და სწრაფმავალ წუთისოფელში მგრძნობიარე და მთრთოლვარე პოეტს სტკიოდა ქართული სული, მარად მებრძოლი და ამბოხებული.

გალაკტიონ ტაბიძეს ვარდმა თავისი საიდუმლოებები გაანდო, ვარდმა რუსთაველთან საოცრად ღრმა და ფაქიზი კავშირი დაამყარებინა, ვარდმა უნ-აზესი და უსათუთესი გრძნობები და განცდები მკითხველისათვის გააზიარებინა.

გალაკტიონის ვარდთმეტყველებას მუდმივად თან სდევს რუსთველური ალუზიები, ასოციაციები, პარადიგმები, რომლებიც მის პოეტურ შემოქმედებაში მხატვრულ სახეთა სრულიად ახლებურ შინაარსში გარდაისახა. რუსთველური სახეებით, სიმბოლოებითა და ალეგორიებით შთაგონებული პოეტის უმდიდრეს მხატვრულ სამყაროში მხოლოდ ერთი, ვარდის მხატვრული სახისა და მისი ტროპული მეტამორფოზების ნაწილობრივი წარმოჩენაც კი თვალნათლივ ადასტურებს ქართულ ლიტერატურაში ტრადიციის უწყვეტობას. შოთა რუსთაველისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი შეხვედრები სიკოცხლის მარადიულობის, შემოქმედებითი ენერგიის უკვდავებისა და თავისუფლების დაუსრულებელი ჰიმნია.